პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 6 თებერვალი, 1943 წ. № 30 (6655). ფასი 20 კაპ.

სამხედრო ზემპებით მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

სამამულო ომის ფრონტებზე გმირი წითელი არმია დიდი სტალინის genialური მხედართმთავრობით წარმატებით ანვითარებს შეტევას. ფრონტებიდან დღითიდღე მოდის ფრიად სასიხარულო ცნობები. ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების მთლიანად ლიკვიდაციამ, უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის 1943 წლის 2 თებერვლის ბრძანებამ საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სტალინგრადთან წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვება საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებს ავალებს კიდევ უფრო გააძლიერონ დახმარება შემტევი წითელი არმიისადმი. გადაუდებელი ამოცანაა ომიანობის შესაფერისი ტემპებით მოვემზადოთ და ჩავატაროთ საგაზაფხულო კულტურების თესვა, რომ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მივცეთ სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამეწარმოქმედო ორგანოების, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ვალია ამთავითვე ფართოდ გაშალონ მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. საკოლმეურნეო სოფელი უდიდეს დახმარებას უწევს ფრონტს, შემტევ წითელ არმიას, ამარაგებს მას სურსათ-სანოვაგით. საკოლმეურნეო წყობილება უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს. ამოცანა ის არის, რომ მოხერხებულად, უნარიანად გამოვიყენოთ შინარესურსები. შინარესურსების მობილიზაცია იმას ნიშნავს, რომ დიდი სამამულო ომის დღეებში თვალსაჩინოდ გავადიდოთ სათესი ფართობები, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით მივიღოთ ბარაქიანი მოსავალი.

მტს-ების დირექტორების, პოლიტგანყოფილებათა უფროსების ამოცანა ის არის, რომ სატრაქტორო პარკი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს საგაზაფხულო თესვას. ბევრგან სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებას. ვანის მტს-მა უკვე დაამთავრა ტრაქტორების საზამთრო რემონტი. წარმატებით მიმდინარეობს ეს სამუშაო მახარაძის, აგარის, ლანჩხუთის, ხაშურის, გორის, თელავის და სხვა მტს-ებში. მაგრამ ზოგან ტრაქტორების რემონტის საქმეში მთლიანად არ არის გამოყენებული შინარესურსები, არასაკმაო ტემპებით მიმდინარეობს ძველი ნაწილების აღდგენა. ტრაქტორების რემონტის მხრივ ჩამორჩნენ შირაქის, ლუქსემბურგის, სადახლოს, წითელწყაროს მტს-ები. ოკამის მტს-ში დღემდე არც ერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ რემონტიდან. ზემოაღნიშნული მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ ტრაქტორების რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის.

სათესლე მასალის დროულად გამოყოფა და მისი საიმედოდ დაცვა თესვისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა. საჭიროა დაჩქარებით გამოიყოს სათესლე მასალა და დროულად დაყვანილ იქნას იგი სრულ კონდიციამდე. ომიანობის ვითარება მოითხოვს მიმდინარე წელს უზრუნველვყოთ კარტოფილის მოსავლის თვალსაჩინოდ გადიდება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათესლე მასალის გამოყოფა ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ყველა კოლმეურნეობა ვალდებულია საკმაო რაოდენობით მოიმარაგოს სათესლე კარტოფილი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სასურსათო კარტოფილის ტუბერის წვეროების დამზადებას. საჭიროა ადგილებზე ფართოდ გაიშალოს ამ მხრივ მუშაობა, მეტი რაოდენობით უნდა დავამზადოთ დასარგავად სასურსათო კარტოფილის ტუბერის წვეროები. ეს შესაძლებელს გახდის გეგმის გარეშე მნიშვნელოვნად გავაფართოოთ კარტოფილის დარგვა.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის საკითხს კადრები სწყვეტენ. ზამთრის პერიოდი მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული მტს-ების მექანიზატორული კადრებისა და მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, კომბაინერის თანაშემწეთა, რემონტზე მომუშავეთა კადრების მომზადებას. ახალი მექანიზატორული კადრების დაკომპლექტებისა და მომზადების საქმეში კარგად მუშაობენ ლანჩხუთის, გურჯაანის, ასურეთის მტს-ები. მაგრამ ასე როდია ყველგან. ტრაქტორისტთა კურსების კადრებით დაკომპლექტების საქმეში უზრუნველობას იჩენენ ქსუისის, თიანეთის, ალაზნის, ლუქსემბურგის, შირაქის მტს-ები. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია, განსაკუთრებით ომიანობის ვითარებაში. მტს-ებმა და მტს-ების პოლიტგანყოფილებებმა, რაიმიწგანებმა კვალიფიციური კადრების მომზადებას ყოველდღიური დახმარება და ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას და უზრუნველჰყონ საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება. ახლოდება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXII წლისთავი. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, ძალთა სწორი განაწილებით და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით უზრუნველვყოთ ამ ისტორიული თარიღებისათვის შეხვედრა თესვისათვის ყოველმხრივი მზადყოფნით.

ომიანობის დროის შესაფერისად გავშალოთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება, წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათ-სანოვაგე!

მოსკოვის პროფკავშირული აქტივის კრება

3 თებერვალს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა მოსკოვის პროფკავშირული აქტივის კრება.

კრება გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. მ. პოპოვმა. იგი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანს ამხ. ნ. მ. შვერნიკს.

მოსკოვის პროფკავშირული აქტივი შეიკრიბა ისტორიულ დღეებში, როცა წითელი არმია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით მიიწევს წინ და ჰიტლერელი არამზადებისაგან სწმენდს საბჭოთა მიწა-წყალს. დამთავრებულია მოწინააღმდეგის სტალინგრადის დაგზგუფების განადგურება და მოსპობა. სტალინგრადთან ბრძოლა, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს ბრძოლას წარმოადგენს ომების ისტორიაში, წითელი არმიის სრული გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა მეომრების ბრწყინვალე წარმატებანი აღაფრთოვანებენ ზურგს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის, რათა სწრაფად იქნას მოპოვებული გამარჯვება მტერზე. დღეს ფრონტი და ზურგი ერთობლივი გმირული ღონისძიებებით ცდილობენ შეასრულონ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება. ამ მიზნას უნდა დაუქვემდებარდეს პროფკავშირების მუშაობაც. ახლა ისინი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოწოდებული არიან გააძლიერონ ზურგება მუშებსა და მოსამსახურეებზე. იმაზე, რომ გაიაზრებისონ მათი მომარაგება სურსათით და სამრეწველო საქონლით. დიდი ნაკლი აქვს მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას, არის მობიზარებლობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევები. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს კონტროლი სავაჭრო ჭსილზე, პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის სწორად განაწილებაზე.

თავიდაკვის სახელმწიფო კომიტემა პროფკავშირებს დაავალა კონტროლი გაუწიონ სავაჭრო ჭსილს. ეს დიდი და საპატიო ამოცანაა. პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გულმოდგინე კონტროლი დაუწესონ მაღაზიებში პროდუქტების წესიერად და სრული წონით გაცემაზე. სასადილოებში სადილების დამზადებასა და გაცემაზე. სახელმწიფო ფასების დაცვაზე. სავაჭრო ჭსილის სანიტარულ მდგომარეობაზე. საჭიროა უახლოეს ხანში შემოწმდის და საწარმოთა ძალიანი შეკეთებული იქნას ყველა მოშლილი სასწორი. მოღაზიებსა და სასადილოებში აფიშირული უნდა იქნას პრეისკურანტები და მენიუ-ბარათები, რომელზეც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული გასაცემი კერძების წონა და ღირებულება. პროფკავშირებმა გადაჭრით უნდა იბრძოლონ საავაჭრო დაწესებულებათა სანიტარული მდგომარეობისათვის.

თებერვალს, ანმეიოლობაში საწარმოებსა და დაწესებულებებში, უნდა დამთავრდეს საზოგადოებრივი კონტროლიორთა არჩევნები. ამ პოსტზე დაწინაურებულ უნდა იქნან საქმისათვის თავადადებული, გგებიდული, კოლექტივში ავტორიტეტის მქონე ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ ბრძოლაში ნორჩებსა და კოლეტივიაში, შეძლებენ სწრაფად მიაღწიონ ალმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ამხ. შვერნიკმა რწმენა გამოსთქვა, რომ მოსკოვის პროფკავშირული ორგანიზაციები ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანას და მოაგვარებენ ყოველდღიურ ქმედ კონტროლს საზოგადოებრივ კვებაზე და მაღაზიებზე.

შემდეგ ამხ. შვერნიკი გადადის თავისი მოხსენების მეორე ნაწილზე.—სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენაზე. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვში არც ერთი სხვა არმია არ არის ისეთი მზრუნველობით მოსილი, როგორითაც წითელი არმია. მთელი საბჭოთა ხალხი დაუღალავად ანმტკიცებს მის საბრძოლო ძლიერებას, ეხმარება მას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა მებრძოლი ფრონტზე გულდამშვიდებული იყოს თავისი ოჯახისათვის. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ომის განმავლობაში გამოცემული მთელი რიგი კანონებით—გადასახადის, პროდუქტთა მიწოდების მხრივ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ. 19 თვის განმავლობაში ფრონტელთა ოჯახებს რამდენიმე მილიარდი მანეთი სახელმწიფო დახმარება მიეცათ. მეომრების ოჯახებისათვის მხურვალედ ზრუნავენ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივები.

მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ არის სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებისა და ბავშვებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს ჯერ კიდევ როდი აქვს შეგნებული, რომ მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებისათვის ზრუნვა წითელი არმიისათვის მთელი წარმატებითი ზრუნვის ნახევარს შეადგენს. ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევთ პროფკავშირებს. საჭიროა დახმარება გაეწიოთ ფრონტელთა ოჯახების წევრებს არა მარტო იმ მხრივ, რომ ისინი სამუშაოზე მოეწყონ, არამედ იმ მხრივაც, რომ მათ სწრაფად მიიღონ კვალიფიკაცია, მოეწყონ მათი ბავშვები ბაგებსა და სბავშვო ბაღებში, საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ ფრონტელთა ყველა ოჯახმა მიიღოს ნაკვეთები ინდივიდუალური ბოსტნეებისათვის და დახმარება გაეწიოს მათ მიწის დამუშავებაში.

საბჭოთა მეომრების ოჯახებისადმი ყურადღება და მათთვის ზრუნვა ხელს შეუწყობს წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებას. ეს ზრუნვა განუყოფელია ჩვენი ხალხის საერთო მიზნისაგან — გასწმინდოს საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერელთა ურდოებისაგან.

ამხანაგ შვერნიკის მოხსენების გამო გამოსულმა პარტიულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა აღნიშნეს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადგილი აქვთ სავაჭრო ჭსილზე საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობაში და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მომსახურებაში.

კრებამ ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

პროფკავშირულმა აქტივმა ოდიდესი აოფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი **ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).**

მის აღმაფებულებას იოსებ ბ. სტალინს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალს

მოსკოვი

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი, მოგილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც სტალინგრადთან მოიპოვეს თქვენმა ჯარებმა თქვენი უმაღლესი სარდლობით. ეს საოცდაორი დღის ეპიკური ბრძოლა ქალაქისათვის, ბრძოლა, რომელმაც სამუდამოდ მოგიხვეჭათ სახელი, აგრეთვე გადამწყვეტი შედეგი, რომელსაც დღეს ყველა ამერიკელი დღესასწაულობს, ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო ფურცელი იქნება ნაციზმისა და მის წამბაძველთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ხალხთა ამ ომში. თქვენი ჯარების მეთაურნი და მებრძოლნი ფრონტზე, მამაკაცები და ქალები, რომლებიც, მუშაობდნენ რა ქარხნებსა და მინდვრებში, ეხმარებოდნენ მათ, გაერთიანდნენ არა მარტო იმისათვის, რომ დიდებით შეჰმოსონ თავიანთი ქვეყნის იარაღი, არამედ იმისათვისაც, რომ თავიანთი მაგალითით გამოიწვიონ ყველა გაერთიანებულ ერში ახალი გამბედაობა—მოახმარონ მთელი ენერგია იმას, რომ მიიღწიონ საერთო მტრის საბოლოო დამარცხებას და უსიტყვო კაპიტულაციას.

ფრანკლინ დ. რუზველტი

ვაშინგტონი, 1943 წ. 5 თებერვალი.

ბატონ ფრანკლინ დ. რუზველტს

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი

გმადლობთ სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი მოლოცვისათვის.

რწმენას გამოვთქვამ, რომ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ერთობლივ საბრძოლო მოქმედებას ახლო ხანში მოჰყვება ჩვენს საერთო მტერზე გამარჯვება.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 6 თებერვალი.

ძოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ჩვენო მშობლიურო, საყვარელო ბელადო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა, გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებით აღფრთოვანებულმა, ნაღდ ფულად შეაგროვა და ავიაესკადრილიისა და სატანკო კოლონების მშენებლობის ფონდში შეიტანა 6.568.532 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ამიერ-კავკასიის რკინიგზელები, რომელნიც ფრონტისპირა გზაზე მუშაობენ, სიტყვას გაძლევენ, რომ ყოველგვარ პირობებში უზრუნველჰყოფენ სამხედრო ეშელონებისა და ტრანსპორტების, ნავთისა და მადნეულის მარშრუტების შეუფერხებელ გზავნას და ყოველი ძალ-ღონით დაეხმარებიან სახელოვან წითელ არმიას აწარმოოს თავისი უმაგალითო შეტევა და ანადგუროს ფაშისტთა ბანდები.

გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს ხალხთა საბედნიეროდ.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსი კიკნაძე
გზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ესაკია

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს გზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილეს ამხანაგ ესაკიას

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშებს, მუშა ქალებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომელთაც 6.568.532 მანეთი შეაგროვეს ავიაესკადრილიისა და სატანკო კოლონების მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მიტინგი, თქვენი მისალმების დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით მოწვეული, სულითა და გულით გითვლით მხურვალე სალამს თქვენ, ჩვენს დიდ ბელადს და genialურ მხედართმთავარს. მთელი ჩვენი ერთსულოვან ოჯახად დარაზმული კოლმეურნეობა უდიდესი სიხარულით და უმაგალითო აღფრთოვანებით შეხვდა თქვენი მისალმების გულთბილ სიტყვებს და წითელი არმიის მადლობას. თქვენი მისალმება, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ყველას აღგვაფრთოვანებს, რათა ახალი შრომითი წარმატებანი მოვიპოვოთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისათვის დახმარების გასაძლიერებლად, იმ არმიისათვის, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით წარმატებით ანადგურებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს.

ჩვენ შეგნებული გვაქვს ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე და, სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად წინათ შეგროვებულ 477.000 მანეთს გარდა, ჩვენი პირადი დანაზოგიდან დამატებით შევიტანეთ 1.000.000 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

ვალდებულებას ვკისრულობთ 1943 წელს თავდადებული სტახანოვური მუშაობით გადაჭარბებით შევასრულოთ ყველა გეგმა და გეგმის გადამეტებით ჩავაბაროთ სახელმწიფოს 125.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 20.000 კილოგრამი თამბაქო, გეგმის გადამეტებით დავთესოთ თავდაცვის ფონდისათვის 10 ჰექტარი მარცვლეული, ვადამდე შევასრულოთ ყველა სახელმწიფო ვალდებულება.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მიტინგის დავალებით

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯგუბურია

საქართველოს სსრ რესპუბლიკა

გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ჯგუბურიას

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომელთაც დამატებით შეაგროვეს 1.000.000 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად.

ი. სტალინი

სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენები გადაეცათ არგილერიის მარშალს ამხანაგ ნ. ნ. ვორონოვს, გენერალ-პოლკოვნიკს ამხანაგ კ. კ. როკოსოვსკის, გენერალ-ლეიტენანტს ამხანაგ ფ. ი. ტოლბუხინს და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენი—გენერალ-ლეიტენანტს ამხანაგ მ. ს. გრომადინს

ა. წ. 5 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გადასცა სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენები არტილერიის მარშალს ამხ. ნ. ნ. ვორონოვს, გენერალ-პოლკოვნიკს ამხ. კ. კ. როკოსოვსკის, გენერალ-ლეიტენანტს ამხ. ფ. ი. ტოლბუხინს და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენი—გენერალ-ლეიტენანტს ამხ. მ. ს. გრომადინს. (საკდესი).

შეღავათები სამამულო ომის მომუშავე ინვალიდებს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაწესა მთელი რიგი შეღავათები სამამულო ომის იმ ინვალიდებისათვის, რომლებიც საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მუშაობენ. სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობენ, კვლავ მიეცემათ პენსია, დამოუკიდებლად მათი ხელფასის ოდენობისა, ხოლო კოლეურნეობებში მომუშავეებს — დამოუკიდებლად მათი შემოსავლის ოდენობისა. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნება აქვთ დართული მისცენ მათ მორიგი შვებულება იმ შემთხვევაში, როცა სამკურნალო-შრომითი საეპსპერტო კომისიების დასკვნები ექნებათ. დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარება სამამულო ომის ინვალიდებს ეძლევათ განუწყვეტელი მუშაობის სტაჟისაგან დამოუკიდებლად. (საკდესი).

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“

ავიაესკადრილიების აგების ფონდში

კასპის რაიონის სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა წევრებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების აგების ფონდში 80.000 მანეთი შეიტანეს. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. შაბურიშვილმა შეიტანა 10.000 მანეთი, იგოეთის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ წევრებმა—70.000 მანეთი, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩადუნელმა—10.000 მანეთი, კოდისწყაროს კოლმეურნეობა „მაგალითის“ წევრებმა—75.000 მანეთი, მათგან კოლმეურნეობის წევრებმა: ნ. ბულბულაშვილმა და შ. ოქროპირიძემ—5.000 მანეთი თითოეულმა, კავთისხევის შუაუბნის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარემ ამხ. ნ. შაყულაშვილმა—10.000 მანეთი.

დიდი ქართველი სარდლის გიორგი საკაძის სამშობლო სოფლის ნოსტეს კოლმეურნეებს ერთსულოვნად შეაქვთ თავიანთი პირადი დანაზოგი მრისხანე საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად. კოლმეურნეობა „სინათლის“ თავმჯდომარემ ამხ. ნ. ხიზამბარელმა თავისი პირადი დანაზოგიდან გაიღო 4.000 მანეთი, დ. აბრამაშვილმა, ლ. სოზიაშვილმა, დ. ალიმბარაშვილმა და გ. მამასახლისოვმა 4.000 მანეთი თითოეულმა. რაიონში შეგროვებულია 2.870.000 მანეთი.

კასპის რაიონის კოლმეურნეები განაგრძობენ სახსრების შეგროვებას.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი
ვ. ქველაძე

რაიალმასკომის თავმჯდომარე
ა. გოგრჯოლაძე

ზრაქზორისტების დანაზოგი

საგარეჯოს მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებ ფონდში თავიანთი პირადი დანაზოგიდან 31.000 მანეთი შეიტანეს. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კერატიშვილმა შეიტანა 1.700 მანეთი, ს. ხატიაშვილმა და შ. კერატიშვილმა—1.500 მანეთი თითოეულმა, ტრაქტორისტმა შ. მარიხიაშვილმა—1.100 მანეთი, შემდუღებელმა ნ. სტეპანოვმა — 1.000 მანეთი. მტს-ის ყველა მუშა - მოსამსახურემ გაიღო თითო თვის ხელფასი.

თანხების შეგროვება გრძელდება.

საგარეჯოს მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ბ. აბესაძე

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები სტარი ოსკოლი და რკინიგზის [illegible]

1. 5 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური სტარი ოსკოლი. მტრის გარშემორტყმული გარნიზონი მოსპობილია და ნაწილობრივ ტყვედ არის წამოყვანილი.

2. უკრაინაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური იზიუმი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 თებერვლის დილის ცნობა

4 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

დონის როსტოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას ცალკევდნენ და წინ წაწევას განაგრძობდნენ. 5 ნაწილმა ორი საათის ბრძოლაში გაანადგურა გერმანელთა 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი და მოსპო მტრის 3 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა მოძრავმა რაზმებმა დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ხელთ ვიგდეთ 2 ჯავშნიანი მანქანა, 4 ქვემეხი, მათგან ორი მძიმე ქვემეხი. საწყობი სურსათიანად და ნივთსაწყობი. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

კრასნი ლიმანის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა ჰიტლერელთა წინააღმდეგობა გასტეხეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სხვა უბანზე გერმანელებმა თავი მოუყარეს რეზერვებს და ბრძოლაში ჩააბეს ტანკების დიდი ძალები და ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ჩვენმა ნაწილებმა ავიაციის დახმარებით მაგრად დაარტყეს მოწინააღმდეგეს. უკუაგდეს იგი და წინ წაიწიეს. მოსპობილია 18 ტანკი და 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

კუპიანსკის რაიონში 5 ნაწილმა ერთი ხელსაყრელი ზღუდისათვის ბრძოლაში მოსპო გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, 3 ტანკი და 1 საარტილერიო ბატარია. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

• • •

კურსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა ორი დღის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.485 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა: 54 ქვემეხი, 52 ნაღმსატყორცნი, 75 ტყვიამფრქვევი, 6 რადიოსადგური, 28 სხვადასხვა საწყობი და დიდძალი სხვადასხვა სამხედრო მასალა. სხვა უბნებზე ჩვენმა ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს.

• • •

ამიერკავკასიის ფრონტზე ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე საბჭოთა ტანკისტები მტრის თავდაცვის სიღრმეში შეიჭრნენ და გერმანელთა 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გაანადგურეს. 5 შენაერთის ნაწილებმა უკანასკნელ ბრძოლებში ხელთ იგდეს გერმანელთა 19 ტანკი, 68 ქვემეხი, აქედან 48 ქვემეხი დიდი ყალიბისა, 30 საწვეთური, 149 ავტომანქანა, 446 კელსიპედი, სამამრი მასალების 1 საწყობი და სურსათის 2 საწყობი.

• • •

ორიოლის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სარკინიგზო ეშელონი არტილერიანად და ავტომანქანებიანად. დამტვრეულია ორთქლმავალი, 2 ვაგონი და 8 ბაქანი. მარცხის შედეგად მოკლულია 20 გერმანელი ჯარისკაცი. სხვა რაზმის პარტიზანებმა იანერის დამლეგს ერთ დასახლებულ პუნქტში უოცარად მიატანეს იერიში გერმანელთა გარნიზონზე. გაჩაღდა ბრძოლა. რომლის ღროსაც საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს 40 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს, 2 ტყვიამფრქვევი, 15 შაშხანა და 10.000 ვაზნა.

• • •

გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების სამხედრო საპატიმროებსა და ჯარისკაცთა საკონცენტრაციო ბანაკებში ამჟამად მრავალი ათასი გერმანელი ჯარისკაცი იმყოფება. ელბის ტორგაუს სამხედრო საპატიმროში დამწყვდეულია 3.000-ზე მეტი კაცი, გრაუდენცის საპატიმროში ყოველთვიურად მიჰყავთ სამხედრო სასამართლოების მიერ მსჯავრდადებული 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი. ისინი არიან უმთავრესად საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედი სამხედრო ნაწილების ჯარისკაცები. მათს უმრავლესობას მსჯავრი დადებული აქვს „არმიის გახრწნისათვის“, „მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალთა შექმნისათვის“, „ბრძოლის ველზე ლაჩრობის გამოჩენისა და იარაღის დაკარგვისათვის“, „თვითდასახჩრებისათვის“ **და სხვ.**

5 თებერვლის საღამოს ცნობა

5 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **სტარი ოსკოლი.** მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონი მოსპობილია და ნაწილობრივ ტყვედ წამოყვანილია. სტარი ოსკოლს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრები—ბობროვო-ლგოვსკოე და სკოროდნოე.

უკრაინაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური იზიუმი, აგრეთვე რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ველიკი ბურლუკი, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური იამა და რაიონული ცენტრი ოლხოვატკა.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

4 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 150-მდე ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, ააფეთ

სტალინგრადის გმირობა საუკუნეების მანძილზე იცოცხლებს!

„მე მომკლავენ ხვალ განთიადზე...“

„გერმანელ დამპყრობთ სწადიათ გამანადგურებელი ომი ჰქონდეთ სსრ კავშირის ხალხებთან. რას იზამ, თუ გერმანელებს სწადიათ ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი, ისინი ამ ომს მიილებენ“.

ი. სტალინი

თერგის ნაპირას მოკლულ გერმანელ ეფრეიტორს ვალტერ მაკურეკს უპოვნეს ცოლთან გაუგზავნელი წერილი. აი, ნაწყვეტი ამ წერილიდან:

— ძვირფასო მატილდა! ეს წერილი ჩემი ანდერძია. მე, ვიცი, ხვალ განთიადზე მოვკლავენ. განთიადზე იმიტომ რომ ხვალ ჩვენი ეკრანებიდან გაქრეს ბოლოდროინდელ ბრძოლებში ტყვედ ეცადა რუსების ჩაკლის გარღვევის. ხელიდან წასული საქმეა. ვინტერის ნაწილმაც. სცადა ასეთი რამ, მაგრამ, როგორც ყური მოვკარი, მთავარ ამბის წამღებიც არავინ დარჩენილა. ამ დაწყეულილ რუსს ხელში არ უნდა ჩაუვარდე. თორემ ვეღარსად წაუხვალ. მოხდეს, რაც მოსახდენია, მხოლოდ შენ იცადე, ჩვენმა ბიჭებმა მამის ბედი არ გაიზიარონ... მოსტუნეთითი, თუნდაც დაკოცდეს, ოღონდ ჩემსავით ფუჭად ნუ მოკვდება...

ეფრეიტორს წინათგრძნობამ არ უღალატა. მხოლოდ იგი მოჰკლეს ცოტა უფრო ადრე. კავკასიის შეუპოვარმა დამცველებმა ეს უკანასკნელი დილაც აღარ გაუთენეს დრეზდენელ ყასაბს ვალტერ მაკურეკს. ჩვენმა მოიერიშე ჯარებმა იმავე ღამის შემუსრეს გარეშემოცული ჰიტლერელი არამზადები.

— მე მომკლავენ ხვალ განთიადზე...

ასე ლუღლუღიბდნენ გაუტიხელ სტალინგრადთან სასიკვდილო მარწყიბში მომწყვდეული ფილდმარშალ პაულუსის ოფიცრები და ჯარისკაცები, ის მწვანე მონდირიანი ოფიცრები, უმწეო მოხუცთა და ბავშვთა მკვლელები.

აღსრულდა მათი წინათგრძნობაც!

წყნარი დონის ნაპირებზე, სტალინგრადის ნამქირიან ტრამალებზე არა ერთმა და ორმა ასეულმა ათასმა თაშისტმა ქურდბაცაცამ დასტოვა თავისი მურდალი სიცოცხლე. მათ იმ მიწით ამოიყოთ პირი, რომლის დამონებაც განიზრახეს.

ოდესაც ბაბორნძილი თაშისტური გენერალი პანტაპონჯი ბარიბიბოდნენ ტყიიდ ბლიიამოსილ საბჭოთა მხიბრობას დამთრობალმა ვინერლობმა ბიდისმაძიბილ ეფრეიტორის—ჰიტლერის სახიოისათვის სიკვდილს უსახელო ტყეობა ამჯობინეს.

სტალინგრადს

გარს არ გარტყია ციხე-კოშკი უზარმაზარი,
რკალით ნაჭედი ქონგურები—მედიდურ სახის.
მაგრამ ამ ქვეყნად ყველა კოშკზე უფრო მაგარი
შემოგჭდობია და გიფარავს მარჯვენა ხალხის.

გამძვინვარებით აგუგუნდა შენს თავზე მეხი,
მაგრამ გრიგალი დაიურვე—ცეცხლის მფრქვეველი.
გმირი ქალაქი სწორუპოვარ ნებით უტეხი
დადექ კლდესავით შავ სიკვდილის უკუმქცეველი.

გარდიქეც დევად, აღგზნებული უშრეტი რისხვით,
ალში ნაწრთობი მორკინალი, ზვავივით ლაღი.
იბრძოლე მედგრად, მხნე მკერდიდან გდიოდა სისხლი,
და შენი ზათქით ზანზარებდა თვით ზეცის თაღი.

მიჰქონდა ოხვრა მძლედ მოქნეულ მახვილთა ელერას
და დაითრთვილა დედამიწა, ცრემლდანაფრქვევი.
შენს დასახსნელად ბევრმა გულმა შესწყვიტა ძგერა,
გააათკეცა გმირულ ნების გრიგალი მძლევი.

და უფრო. მძლავრად ატორტმანდა ალი ბრძოლების,
იქცა მახვილად სიყვარული მშობელი დედის,
და პიტალო კლდეთ აღიმართა ფიქალი მკერდით,
შენს კარიბჭესთან რისხვადქმნილი მილიონები.

აღსდგნენ ერები—გამარჯვების რწმენით გზნებულნი,
და შეეჯახნენ ცელაღმართულ სიკვდილს თვალღიას.
და მათი გული, ვოლგასავით აზვირთებული
მტრის მრისხანებამ ვერ შეაკრთო, ვერ შეარყია.

ოი ქალაქო, ბევრი გახსოვს ბრძოლები წინათ,
მრავალ განსაცდელს შეხვედრიხარ გულანათრთოლი.
სისხლის გრიგალმა თავზე ბევრჯერ გადაგიფრინა
და შენს სხეულზე მძიმე წყლულთა გაავლო ზოლი.
მაგრამ სიკვდილი შენს წიაღში თვით გაიყინა,
შენს გასაქრობად აღგზნებული, ელვის ფრთით მსრბოლი.

დღეს კვლავ გუგუნებ დიდ სტალინის ნებით ნაჭედი,
ყველას აოცებს მძლეთმძლეველი გმირობა შენი.
გააცამტვერე მედგარ დარტყმით მტერი თავხედი,
მისი ფოლადი ვაჟკაცური მკერდით დაფშვენი.
სისხლის თქრიალში უფრო მაღლა აღმართე ქედი
ძირს არ დაჰხარე ძლევის დროშა, დიდების მფენი.

ვაშა ქალაქო, უგმირესო ქალაქთა შორის
მტერმა ვერ დასწვა შენი მკერდი ცეცხლის ისარით.
მარადჟამს იფრენს მსოფლიოში, ვით მეტეორი,
შენი ვაჟკაცი დევგმირების სული მრისხანე.
ცხრაას ორმოცდა მესამე წლის თებერვლის ორი
მარად იქნება ყველასათვის დაუვიწყარი.

თავისუფლებას არ უმუხთლებს გმირთა თაობა,
მტკიცე მახვილით სასიკვდილოდ მტრის დამდაღველი.
გაივლის ჟამი, დადუმდება ცეცხლის ზღვაობა
აკამკამდება ლურჯი ზეცა, სხივის მსახველი.
ვაჟკაც ქალაქის ლეგენდარულ გამბედაობას
მარად აცოცხლებს გმირ სტალინის დიდი სახელი.

ხარიტონ ვარდოშვილი

მიჭინგი სტალინგრადში

ცივი მზიანი დილაა. დღეს პირველი შემოხვევაა 5 თვის განმავლობაში, რომ სტალინგრადში ბომბების გასკდომის, ქვეყნთა ხალაპების გრიალისა და ტყვიამფრქვევთა ჯერეკნის კაკანის, ნაკვლად მხნე, მხიარული ძუსიკის ხმა გაისმის. ზანგრეული შენობების კედლებზე გამოკიდებულა ტრანსპარანტები, ლოზუნგები. წითელი არმიის სახლის ფასადზე გამოფენილია პორტრეტები პოლტბიუროს წევრებისა, სახელგანთქმული მხედართმთავრებისა, რომელთა ნაწილებმაც გაანადგურეს გერმანელები ვოლგის სიმაგრის მისადგომებზე.

11 საათია. ერთ-ერთი მოედნისაკენ წითელ არმიასთან ერთად მიემართებიან სტალინგრადის საწარმოთა მშრომელნი. პიოველი მატრებელები ქალაქში რკინიგზის სადგურ სარეპტიდან ჩამოვიდნენ. მოედანი ივსება. ყველა მხიარულია, აღტაცებულია.

ერთმანეთს ხვდებიან მებრძოლი ამხანაგები, ძეობრები და ქალაქის მშრომელნი.

12 საათია. ტრიბუნაზე არიან უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ხრუშჩოვი, გენერალ-ლეიტენანტი ჩუიკოვი, გენერალ-ლეიტენანტი შუმილოვი, გვარდიის გენერალ-მაიორი — საბჭოთა კავშირის გმირი როდიმცევი. წითელი არმიის ნაწილთა და შენაერთთა მეთაურები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სტალინგრადის ბრძოლებში. საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი და ქალაქ სტალინგრადის თავდაცვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩუიანოვი საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პიკსინი, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჰიგალევი, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და სტალინგრადის საქალაქო საბჭოს სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ჰიგალევი.

პირველი სიტყვა ეძლევა სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს—გენერალ-ლეიტენანტ ჩუიკოვს.

— ამხანაგ სტალინისადმი წერილში,—ამბობს ის.—ქალაქის გმირმა დამცველებმა ფიცი დასდეს თავი დაეფოთ და სტალინგრადი არ დაეთმოთ მტრისათვის. ჩვენ არ დავუთმეთ! — შეესძახა გენერალმა,—ჩვენ შეევასრულეთ ბელადისთვის მიცემული სიტყვა.

ხმურავალე სიტყვები წარმოსთქვეს გვარდიის გენერალ-ძაიორმა—საბჭოთა კავშირის გმირმა როდიმცევმა, სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა, გენერალ-ლეიტენანტმა შუმილოვმა.

შეუსუსტებელი ყურადღებით იქნა მოსმენილი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის ამაღელვებელი სიტყვა. ის ულოცავს სტალინგრადის არმიის მებრძოლებს ჩვენი სამშობლოს მტერზე გამარჯვებას.

— მტერმა შესძლო ზოგიერთ ადგილას მისდგომოდა ვოლგას,—ამბობს ამხ. ხრუშჩოკი,—მაგრამ ვოლგასთან ფაშისტებს სამარე გეთხარათ.

ამხ. ხრუშჩოვი მოუწოდებს მიტინგის მონაწილეებს გამარჯვებაში ჰპოვონ ახალი ძალები შემდგომი ბრძოლისათვის, შემდგომი წინსვლისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!, გაუმარჯოს ჩვენს მხედართმთავარს—ამხანაგ სტალინს! ურა ჩვენს სტალინს! — ამთავრებს ამხ. ხრუშჩოვი.

მოედანზე ჰქუხს მასობრივი „ურა“ მხედართმთავრისა და ბელადის—ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ გამოვიდნენ: საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი და თავდაცვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩუიანოვი, საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პიკსინი, რომელმაც წაიკითხა სტალინგრადის მშრომელთა და დამცველთა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი და ქალაქის მშრომელთა მისალმება სამხრეთისა და დონის ფრონტების მებრძოლებისა და მეთაურებისადმი.

№ 264 ქარხნის მუშა ამხ. სედნევი ყველა მუშის სახელით სალამსა და მადლობას უძღვნის წითელ არმიას.

გ. აფანასიევი
(საკდესის სპეცკორესპონდენტი)

სტალინგრადი, 4 თებერვალი.

ინგლისელი ჟურნალისტი სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვების შესახებ

ლონდონი, 5 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ცნობილი ინგლისელ ჟურნალისტ უილჰემ სტიდის მიმოხილვას, რომელიც მიძღვნილია სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვებისადმი. სტიდი ოფონგბს, რომ 90 წლის წინათ ინგლისში გამოქვეყნებული იყო წიგნი სათაურით „15 გადამწყვეტი მსოფლიო ომი“. ამ წიგნში ჩამოთვლილია უდიდესი ბრძოლები, ძველი საუკუნეებით დაწყებული ახალ დრომდე. ამასთან თვალსაჩინო ადგილი აქვს მიკუთვნებული რუსების ჯარების მიერ პეტრე დიდის სარდლობით შვეციის არმიის განადგურებას პოლტავასთან.

ავტორი კითხულობს: რა ადგილს მიაკუთვნებენ ძომავალი ისტორიკოსები სტალინგრადისათვის ბრძოლასაო. სამხედრო ძალის ამ უდიდეს გამოცდას ბადალი არა ჰყავს და შეიძლება განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი შედეგები მოიტანოს. ისტორიაში ვერ იპოვნით ვერც ერთ მაგალითს იმისა, რომ გარშემორტყმოდნენ და მთლიანად მოესპოთ 330.000 კაცისაგან შემდგარი ალყაშემომტყმელი ოლი არმია, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი ყველა თანამედროვე საბრძოლო საშუალებით და რომელსაც უდიდესი საწყობები და ტრანსპორტი მოეპოვებოდა.

ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ,—განაგრძობს სტიდი,—გაქარწყლებულია. ჰიტლერის სამხედრო ხელმძღვანელობა სახელგატეხილია, მის პირად პრესტიჟს გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა. ისტორიკოსებს შეუძლიათ სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლა მიიჩნიონ ევროპის და იქნებ მთელი მსოფლიოს ბედის მობრუნების ჯუნქტად. სტალინგრადისათვის ბრძოლაში რუსების ჯარმარჯვება ახლანდელი ომის ახალი, შესაძლოა, გადამწყვეტი ფაზის დასაწყისს მოასწავებს. ჩერჩილის ჩასვლა თურქეთში და კვიპროსის კუნძულზე მაც შემდეგ, რაც ის ყასაბლანკაში რუზველტს შეხვდა, იმას მოწმობს, რომ ეს ფაზა მალე უნდა დაიწყოს. იგი აღიარებენ მოკავშირეთა ჯარების შეჭრით ევროპის კონტინენტზე, ინგლისისა და ამერიკის ავიაციის მიერ დღისით გერმანიის დაბომბვა ამ მხრივ სიმტკიცეა.

„რუსეთის არმიის სახელოვანი გმირობა საუკუნეებში იცოცხლებს“

ამერიკული პრესა სტალინგრადთან გერმანელების განადგურების შესახებ

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი (საკდესი). ამერიკელ გაზეთებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობებს სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვების შესახებ. გაზეთები ამ ამბავს დიდ სტატიებს უძღვნიან და აქვეყნებენ ფოტოგრაფიებს, რომლებიც გამოსახავენ წითელი არმიის მიერ ტყვედ წამოყვანილ გერმანელ გენერლებს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ სამხედრო მიმოხილველი ჰაიორი ელიოტი სწერს, რომ სტალინგრადთან გაცამტვერებულ იქნა გერმანელ დამპყრობთა გულზვიადი ზრახვები. სტალინგრადთან განადგურება მოგვაგონებს ჰიტლერისა და მისი არმიის აუცილებელ დაღუპვას, იმ არმიისა, რომელმაც სტალინგრადთან უდიდესი კატასტროფა განიცადა, როგორიც კი ოდესმე თავს დასტეხია გერმანიის არმიას მას აქეთ. რაც გერმანია არსებობს, ელიოტი აღნიშნავს, რომ ბრძოლის ველზე საბჭოთა ჯარების გამარჯვება მათი მამაცობის და უმაღლესი სარდლობის სიბრძნის შედეგს წარმოადგენს ძნელია.—სწერს იგი.—იმ ოსტატობის გადაჭარბებით შეფასება, რაც რუსებმა გამოიჩინეს ამ ბრძოლაში, დამთავრდა ეპიკური ბრძოლა სტალინგრადისათვის. იგი იმას მოასწავებს, რომ ჰიტლერელებმა უკვე გადალახეს თავიანთი ძლიერების მწვერვალი და ამიერიდან იწყება მათი გარდუვალი დაცემა რუსეთის არმიის მამაცური გმირობა საუკუნეთა მანძილზე დარჩება. მას არასოდეს არ დაივიწყებენ. სანამ ცოცხალი იქნებიან თავისუფალი ადამიანები. რომელნიც მზად არიან თავი დასდონ თავისუფლებისათვის.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აცხადებს, რომ სტალინგრადისათვის ბრძოლა ყველაზე შეუპოვარი იყო, ახლანდელი მსოფლიო ომის ყველა ბრძოლებთაგან. იგი, შესაძლოა, გადამწყვეტიც გახდის. სტალინგრადთან გამძლეობაზე იცდებოდნენ გერმანიისა და რუსეთის ჯარები. ის გამოცდა როსიზმა მოიგო.



სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით. წითელი არმიის მიერ გაბადგურებული მტრის საბრძოლო ტექნიკა. ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გვარდიული ნაწილების შეხვედრა სტალინგრადში

გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტები დ. აკულშინი და ვ. კუპრინი თავიანთ წერილში „გვარდიული ნაწილების შეხვედრა“ მოგვითხრობენ საბჭოთა ჯარების და სტალინგრადის დამცველთა ამაღელვებელი შეხვედრის შესახებ.

შეხვედრა მოხდა დილით. სტალინგრადელები გარკვევით ხედავდნენ, როგორ ახლოვდებოდნენ ჩვენი მებრძოლები თეთრ სანიღბავი ხალათებით.

„გვარდიელთა დაძაბულობა, — ნათქვამია კორესპონდენციაში, — სიხარულით აღსავსე მღელვარება უმაღლეს ზომას აღწევდა, ბატალიონის მეთაურებს, გვარდიის კაპიტნებს გუშჩინსა და მუდრიაკს და დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილეს მაიორ კორინს უკვე აღარ შეეძლოთ სთვალთვალო პუნქტზე დარჩენა. ისინი წინ გაეშურნენ და თავის მებრძოლებს გაუსწრეს. მათ შესახვედრად მორბოდნენ ჩვენი მშობლიური საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები. ისინი მაღლა აფრიალებდნენ ხელჯოხებზე გაკრული ხალათებს, ქუდებს, ხელთაგულებს, ბინოკლებს, ავტომატებს, ყანყარებს, ბაიონეტებს, ხელებს, ფეხებს, ტანსაცმელს, ბაგეებს, ენებს, ფიქრებს, ოცნებებს, ოფლს, ცრემლებს, ბედნიერებას, ოცდაათ ოთხ ენაზე ამოძახილებს, ოცდაათ ოთხ ენაზე ლოცვებს, ოცდაათ ოთხ ენაზე ფიცებს, ოცდაათ ოთხ ენაზე ლანძღვებს, ოცდაათ ოთხ ენაზე ალერსს, ოცდაათ ოთხ ენაზე ბედნიერ ოცნებებს, ოცდაათ ოთხ ენაზე ... ოცდაათ ოთხ ენაზე ... ოცდაათ ოთხ ენაზე ...